მოდულის დასახელება:
„მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასება“

8 საათი

მოდულში ჩართვის წინაპირობა და შერჩევის მექანიზმი:
„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“ ჩართული საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრები.

მოდულის მიზანი და მისაღწევი შედეგები:
მონაწილეები:
• გაიაზრებენ სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობებს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების პროცესში;
• გაეცნობიან მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის სტრუქტურას, იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელიც უნდა იყოს ასახული მასწავლებლის პორტფოლიოში სქემით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი აქტივობების დასადასტურებლად;
• გაეცნობიან მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასების წესს, პროცედურებსა და შეფასების კრიტერიუმებს;
• გაიაზრებენ მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსის გამოყენების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში და გაეცნობიან იმ რესურსის ტიპებს, რომლებიც შეფასდება სქემის ფარგლებში;
• გაეცნობიან და პრაქტიკულად გამოიყენებენ სასწავლო რესურსის შეფასების რუბრიკას;
• შეძლებენ შეაფასონ მასწავლებლის პროფესიული საქაღალდე;

სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:
სერტიფიკატის მისაღებად მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შეფასებაში არსებული მოთხოვნები: დაესწროს თითოეული მოდულის მინიმუმ 80%-ს და, ამასთან, 100-ქულიანი სისტემის შეფასების შკალაში დააგროვოს მინიმუმ 60 ქულა.